

## ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

### ოქმი N 1

ქ. ვანი N 65

25 მარტი 2019 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები :** კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირები:** მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნარგიზი ალფაიძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი - ვანის“-ს დირექტორი - **როინ კანკაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სასპორტო გაერთიანების დაწესებულების სამსახურის დირექტორი - **ზვიად მინაშვილი.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

### დღის წესრიგი

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 09 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს: ნარგიზი ალფაიძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N20 17 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

5.სხვადასხვა.

**გადაწყვეტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოხმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 09 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა , რომ ცვლილება შევიდა „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების წესდებაში, კერძოდ; მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 09 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია: ქ. ვანის კომპლექსური სასპორტო სკოლა (საბრძოლო ხელოვნება, რაგბი, მძლეოსნობა, ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი)“.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენის საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 09 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N2/*

**მოხმინეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N20 17 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად ცვლილება შევიდა საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს წესდებაში. კერძოდ;

საფეხბურთო კლუბის სტრუქტურულ ერთეულებს დაემატა ქ. ვანის გრიგოლ ნიკოლეიშვილის სახელობის ცენტრალური სტადიონი; ქ. ვანის საფეხბურთო სკოლა“.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეორე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8  
წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N20 17 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

*/დანართი N 2/*

სხვადასხვაში კომისიის წევრმა შალვა ლორთქიფანიძემ კომისიას ესაუბრა სოფ. დიხაშხოს ჭალების ტერიტორიაზე არსებული მუხავე წყლების ტერიტორიის მოვლა დასუფთავების შესახებ. მან აღნიშნა, რომ აქ თერმული წყალი მოედინება თვითდინებით სადაც არის საოცარი სანახაობა, ბოლო პერიოდის განმავლობაში აქ სტუმრობს ძალიან ბევრი ტურისტი საზღვარგარეთიდან, სადაც არის ძალიან ცუდი მდგომარეობა, არ არის მოწესრიგებული პირველადი საჭიროების ადგილები, კერძოდ: ნაგვის ურნის დადგმა, გზის მოწესრიგება, საპირფარეშოს მოწყობა და ა.შ. რისთვისაც საჭირო არის დაახლოებით 5 ათასი ლარი.

ჩვენი ხელის შეწყობით მოწესრიგდება ეს ადგილი, რაც სამომავლოდ ჩვენი შვილებისათვის და მომავალი თაობისათვის დაინტერესებული სანახაობა გახდება.

კომისიის წევრებმა მოიწონეს ბატონი შალვას მიერ მოწოდებული წინადადება და აღნიშნეს რომ მართლაც ასეთი ღირსშესანიშნავი ადგილი დასაფასებელია, ჩვენ გამგებელთან შეთანხმებით გადავჭრით ამ პრობლემას და გათვალისწინებული იქნება მომავალი საკრებულოს სხდომისთვის.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ  
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე